შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ფორესთ კომპანი

Limited Liability Company
Forest Company

N 001/602

08.01.2020წ.

შპს "ლაღიძე პლაზა"
ID ნომერი:211377767

გაცნობებთ, რომ შპს „ფორესთ კომპანი“ მზადაა განახორციელოს (მისამართი: ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N57; საკადასტრო კოდი: N 01.17.14.001.408) თქვენს მიერ მოთხოვნილი 4 ძირი ხის გადარგვა თანდართული მეთოდოლოგიით მცენარის არასავეგეტაციო პერიოდში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვის წარმოდგენის და ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, კერძოდ, 1 ძირი (N 5) კანადური ვერხვი (Populus deltoides), 2 ძირი (N 9, N 51) მინდვრის თელა (Ulrnus minor), 1 ძირი (N 45) კაკლის ხე (Juglans regia).

პატივისცემით,
დირექტორი
დავით კობახიძე

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ +995 551 606226
,Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995) 551 606226, Email: davitkob@gmail.com

გადარგვის პროექტი

თარიღი: 08.01.2020წ.
მისამართი: ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N57
საკადასტრო კოდი: N 01.17.14.001.408
ფართობი: 2581.00 კვ.მ
დამკვეთი: შპს "ლაღიძე პლაზა" ID ნომერი:211377767
გადასარგავი მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა: 4

გადასარგავი ხემცენარეების ნუსხა ტაქსაციური მაჩვენებლების და კომის ზომების მითითებით

ცხრილი N 1

რიგ N	ხის N	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	კომის სიგანე სმ	Do დიამეტრი 10სმ-ზე	Dt დიამეტრი 1.3 მ-ზე	H სიმაღლე მ	მდგომარეობა	შენიშვნა
1	5	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	ხე	287	28.7	14.3	7	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
2	9	მინდვრის თელა (Ulrnus minor)	ხე	261	26.1	12.7	4	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
3	45	კაკლის ხე (Juglans regia)	ხე	303	30.3	15.9	5.5	ჯანსაღი	ორკაპი, შესაძლებელია გადარგვა
4	51	მინდვრის თელა (Ulrnus minor)	ხე	252	25.2	15.9	6.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა

სულ გადარგვას დაექვემდებარება 4 ძირი ხე, მათ შორის 1 ძირი (N 5) კანადური ვერხვი (Populus deltoides), 2 ძირი (N 9, N 51) მინდვრის თელა (Ulrnus minor), 1 ძირი (N 45) კაკლის ხე (Juglans regia). მათი გადარგვა შესაძლებელია ქვემოთ მოცემული მეთოდოლოგიით.

მწვანე ნარგავების გადარგვის აგროტექნიკა

• ნიადაგის მომზადება

ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას, ტერიტორიაზე გავრცელებული სარეველა მცენარეებისგან, ქვებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და სხვ ფართობის განთავისუფლებას. ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ მოხდეს ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით ნიადაგის ნაყოფიერების განხორციელება, დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა - განვითარების უზრუნველსაყოფად.

გადარგვის მეთოდოლოგია

• ხე–მცენარის ამოღება:

1. ხის კომის ზომა უნდა განისაზღვროს ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ ათმაგი ოდენობის (იხ. ცხრილი N 1) , ხოლო სიღრმე არანაკლებ 1,7 მ. – ის;
2. ხემცენარის გადარგვამდე უნდა მოხდეს მისი კომის ფიქსირება იმ საშუალებებით, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ხემცენარის კომის შენარჩუნება ტრანსპორტირების პირობებში;
3. ხის ამოღება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით, ფესვთა სისტემის დაზიანების გარეშე;
4. ამოღებისას ღია ფესვთა სისტემა დაუყოვნებლივ უნდა შეიფუთოს ჯვალოს მატერიით, ან სპეციალური ბადით;
5. ამოღებული ხის ტრანსპორტირების შემთხვევაში ჯვალოში ან ბადეში შეფუთულ კომს უნდა გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია (ხის ჩარჩოები, ასაწყობი ყუთები, მავთულბადე, მეტალის სხვადასხვა კონსტრუქციები, სპეციალური დასაშლელი ვაზონები, ჭილობი, ბრეზენტი და ა.შ.);

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ +995 551 606226
,Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995) 551 606226, Email: davitkob@gmail.com

6. მიწის კომის შეფუთვის შემდეგ ხის ღეროზე კეთდება სპეციალურ შალითა, რომელიც დამზადებული შეიძლება იყოს ქეჩის, ბრეზენტის ან ტყავისაგან. ასეთი შალითის დანიშნულებაა დატვირთვის, გადაზიდვის და დარგვის დროს ხის შტამის დაცვა შესაძლო შემთხვევითი დაზიანებისაგან;

7. ამოღებამდე ფოთლოვანი სახეობის ხეებს გაუკეთდეს სხვლა-ფორმირება კერძოდ: 1 ძირი (N 5) კანადური ვერხვი (Populus deltoides), 2 ძირი (N 9, N 51) მინდვრის თელა (Ulrnus minor), 1 ძირი (N 45) კაკლის ხე (Juglans regia)

8. ხის ამოღება უნდა განხორციელდეს სპეციალური ამწე მოწყობილობებით, რადგან კომი დაცული იქნას მკვეთრი და ძლიერი დარტყმებისაგან, ვინაიდან გადარგვის პროცესში კომს არ შეექმნას არასასურველი რყევები, რაც გამოიწვევს ფესვების დაგლეჯვას ან მათგან ნიადაგის მოშორებას;

• *ხე–მცენარის გადარგვა:*

1. გადასარგავ ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებული უნდა იქნას ორმო;
2. სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 – 0,9 მ. – ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2–0,25 მ.–ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;
3. ნარგავი უნდა დაირგოს შენობის გარე კედლიდან ან/და მშენებარე ობიექტის საძირკველთან 3 მ-ზე მეტი დაშორებით.
4. ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით. რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან:
5. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით; თითოეულ ორმოში წინასწარ უნდა იქნეს შეტანილი 15-20 კგ. ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელიანი, ტორფდოლომიტიანი და სხვა).
6. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 – 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 – 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
7. ჩაირგოს ორმოში ისე, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით უნდა დარჩეს და გამაგრდეს თოკებით 3 მხრიდან.
8. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
9. ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
10. ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;
11. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

ხე–მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა–პატრონობა:

1. ხის მოვლა უნდა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში;
2. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ უნდა განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა–გაფხვიერება–განახლება;
3. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა;
4. მორწყვა უნდა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ;
5. დამატებითი მორწყვა უნდა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით;
6. განსაკუთრებით ინტენსიური რწყვაა სჭირო მცენარეებზე ყლორტებისა და ფოთლების ზრდის დროს.ამიტომ ინტენსიური მორწყვა უნდა დაიწყოს მაისის თვიდან.
7. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად;
8. ხის დარგვისთანავე მცენარეებზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ – დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები;
9. პერიოდულად ჩატარდეს ვარჯის სხვლა–ფორმირების სამუშაოები.

დირექტორი *დავით კობახიძე*

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ +995 551 606226
,Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995) 551 606226, Email: davitkob@gmail.com

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სილვა გრუპი
Limited Liability Company
Silva Group

N 001/225

08. 07. 2019 წ

შპს "ლაღიძე პლაზა"-ს
ID ნომერი:211377767

ჩვენთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბერის N 17–55 დადგენილების მოთხოვნათა დაცვით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 02 ივნისის N 5 – 31 ბრძანების საფუძველზე შევისწავლე მისამართი: ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N57. საკადასტრო კოდი: N 01.17.14.001.408 არსებული ხე–მცენარეების მდგომარეობა.

წარმოგიდგენთ საექსპერტო დასკვნას მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე.

პატივისცემით,

დირექტორი
დავით კობახიძე

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ +995 551 606226
,Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995) 551 606226, Email: davitkob@gmail.com

საექსპერტო ლაბორატორიული დასკვნა

მწვანე ნარგავების დაავადებების კვლევაზე

N 07/032
თარიღი: 08.07.2019წ
კვლევის ჩატარების მეთოდი: ლაბორატორიული.
მისამართი: ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N57
საკადასტრო კოდი: N 01.17.14.001.408
დამკვეთი: შპს "ლაღიძე პლაზა" ID ნომერი:211377767
ლაბორატორიის მისამართი: ქ. თბილისი, ორხევი, ზ. დამენიას ქ. N 2, ”ოფისი“ მე–2 სართული) , შ.პ.ს „ბიოაგრო–მცანარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრი“.

ცხრილი N 1

რიგ N	ხის N	სახეობა	Do დიამეტრი 10სმ-ზე	Dt დიამეტრი 1.3 მ-ზე	A ხნოვანება წელი	H სიმაღლე მ	მდგომარეობა	შენიშვნა
1	37	თუთა ჩვეულებრივი (Morus)	79.6	11.1		6	ხმობადი	იხ.ლაბორატორიული დასკვნა
2	52	ალვის ხე (Populus italica)	79.6	63.7	50	15	ხმობადი	იხ.ლაბორატორიული დასკვნა

2 ძირ ხე-მცენარეზე ჩატარდა ლაბორატორიული კვლევა, კერძოდ:

- 1 ძირი (N 52) **ალვის ხე - Populus italica;**
- 1 ძირი (N 37) **თუთა ჩვეულებრივი - Morus.**

ადგილზე შეგროვდა საკვლევი ფაქტობრივი მასალა (ქერქის ანათლები, ხმელი ტოტები, ნაღრღნი, აღებული იქნა ნიმუში პრესლერის ბურღით), რომლებიც დალუქული იქნა

დავით კობახიძე პ/ნ 01023000633, საქართველო, თბილისი, 0178 , ი. სიხარულიძის ქ, N 1 , ტელ: (+559) 551 60 62 26
Davit Kobakhidze I/D 01023000633, Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, 0178. Tel: (+559) 551 60 62 26 Email: davitkob@gmail.com

სპეციალურ კონტეინერში, გაუკეთდა წარწერა საკადასტრო კოდის და ხის ნომრის მითითებით და გასხნილი იქნა შ.პ.ს „ბიოაგრო–მცანარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის“ ლაბორატორიაში კვლევის ჩასატარებლად. (მისამართი: ქ. თბილისი, ორხევი, ზ. დამენიას ქ. N 2, ყოფილი თვალჭრელიძის ქუჩა ნაკვეთი 06/012, ”ოფისი“ მე–2 სართული). კვლევის დამთავრების შემდგომ მოხდა შესწავლილი ნიმუშების ხელახალი დალუქვა კონტეინერში, რომელიც ინახება შპს სილვა გრუპის ოფისში. (მისამართი: ქ.თბილისი ცოტნე დადიანის ქუჩა N 7, სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა“, ოფისი 412 ბ).

დაავადებული ეგზემპლარის კვლევის შედეგი ეფუძნება ფაქტობრივი მასალის მიკროსკოპული ანალიზისა და იდენტიფიკაციის შედეგებს. მიკრო და მაკრომიცეტი სოკოები იდენტიფიცირებული იქნა მათი ნაყოფიანობის მიკროსკოპული ანალიზის საფუძველზე, სტრუქტურულ - მორფოლოგიური (მიკრომორფოლოგიური) ნიშნების აღწერის მონაცემების მიხედვით სხვადასხვა მეთოდურ წყაროებზე დაყრდნობით (Хохряков, 1969, Метод,ы, 1974, Hawksworth, 1974). მიკროსკოპირებისათვის საჭირო პრეპარატები (ანათლები) მომზადდა სამართებლით, მოთავსდა ონკანის წყალში და გაისინჯა სინათლის მიკროსკოპით. სოკოს სახეობის იდენტიფიკაციისათვის გამოყენებული იქნა კლასიკური და თანამედროვე სარკვევები.

აღებული ნიმუშების და მიკრო და მაკრომიცეტი სოკოს მომწიფებული ნაყოფიანობის მქონე ნიმუშების იდენტიფიკაცია მოხდა მიკროსკოპული ანალიზის საფუძველზე. კვლევის შედეგად გამოვლენილია რიგი მავნებლები და დაავადებები, რომელიც შესწავლილი და აღწერილია საექსპერტო დასკვნაში.

ლაბორატორიულ კვლევის პროცესში ძირითადად გამოყენებული იქნა მავნებლების და სოკოების იდენტიფიკაციის კლასიკური მეთოდი, რომელიც ეფუძნება გარეგნული და სტრუქტურულ - მორფოლოგიური (მიკრომორ–ფოლოგიური) ნიშნების აღწერას (Shoemaker, 1964).

ლაბორატორიული კვლევის შედეგები

N 52 ალვის ხე - Populus italica; მდგომარეობა - ხმობადი. მთავარ ღეროზე ფესვის ყელი საკმაოდ დაზიანებულია. აღინიშნება მავნებლის - ქერქიჭამიას ოვალური ფორმის სასვლელები და ნაღრღნი, რომელიც გრძელდება ვერტიკალური მიმართულებით შტამბში და დაინფიცირებულია სიდამპლის გამომწვევი პათოგენი მიკრომიცეტებით - Heterobasidion -ის გვარიდან. ტოტების უმრავლესობა ხმელია და ფუტურო. ჩამოტეხილი ტოტების ადგილებში აღინიშნა პარაზიტი მაკრომიცეტი სოკო - ფელინუსი - (Phellinus), რომელიც იჭრება მექანიკურად დაზიანებული ადგილიდან, იწვევს გულგულის დაშლას და სიდამპლეს.

დავით კობახიძე პ/ნ 01023000633, საქართველო, თბილისი, 0178 , ი. სიხარულიძის ქ, N 1 , ტელ: (+559) 551 60 62 26
Davit Kobakhidze I/D 01023000633, Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, 0178. Tel: (+559) 551 60 62 26 Email: davitkob@gmail.com

ძირითადად გვხვდება ხნიერ ხეებზე. ტოტების უმრავლესობა ხმელია, მტვრევადი და ჩამოტეხილი.

დასკვნა: შესწავლილი ეგზემპლარი არის ხნოვანი და გადაბერებული. განიცდის სოკოების დამშლელ ზემოქმედებას მავნებლებისგან მიყენებულ დაზიანებების ადგილებში. მსგავსი სიმპტომები დამღუპველია. ქარქცევადი და საფრთხის შემცველია. განკურნებას არ ექვემდებარება

N 37 თუთა ჩვეულებრივი - Morus მდგომარეობა - ხმობადი. მთავარ ღერო გადაბელილია, როგორც ფესვის ყეთან, ისე მერქანზე დაფიქსირდა მექანიკური დაზიანებები, სადაც მრავლადაა ქერქიჭამიას სავლელები და მიკრმიცეტი სოკოს - *Polyporus hispididus* ნაყოფსხეულები გამოხატული ლაქების, ბორცვების, შავი ბალიშისებური მეჭეჭების სახით, რომელიც დროთა განმავლობაში გამოიწვევს გულის სიდამპლეს.აგრეთვე იდენტიფიკაციის შედეგად გამოვლინდა აბედა სოკოს - *Fomes fomentarius* სპორები, რომელიც ღრმად იჭრება მერქანში დაზიანებული ადგილებიდან, ვრცელდება მერქანში და იწვევს გულგულის სიდამპლეს. მართალია ტოტების უმრავლესობა საღია, მაგრამ აღინიშნება ტოტების წვეროდან ხმობა. ხმელი ტოტების იდენტიფიკაციის შედეგად ნახეთქი ჭრილობებში დაფიქსირდა მიკრომიცეტის სოკოს - *Thyrococcum sirokoffi* და *Tubercularia nigricans* ნაყოფსხეულები, რომელიც შემოუვლის ტოტს და ახმობას მას.

დასკვნა: შესწავლილი მცენარე ხნოვანია, განიცდის პათოგენური მიკრომიცეტების დამშლელ ზემოქმედებას. განკურნებას არ ექვემდებარება.

შემსრულებელი: *დავით კობახიძე*
ექსპერტი

დავით კობახიძე პ/ნ 01023000633, საქართველო, თბილისი, 0178 , ი. სიხარულიძის ქ, N 1 , ტელ: (+559) 551 60 62 26
Davit Kobakhidze I/D 01023000633, Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, 0178. Tel: (+559) 551 60 62 26 Email: davitkob@gmail.com

საექსპერტო დასკვნა

მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე

თარიღი: 08.07.2019წ
მისამართი: ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N57
საკადასტრო კოდი:N 01.17.14.001.408
ფართობი: 2581.00 კვ.მ
დამკვეთი: შპს "ლაღიძე პლაზა" ID ნომერი:211377767
ტერიტორიაზე არსებული და შეფასებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა: 52

ინფორმაცია

მწვანე ნარგავების სახეობის, დიამეტრის და მდგომარეობის შესახებ

ცხრილი N 1

ხის N	სახეობა	Do დიამეტრი 10სმ-ზე	Dt დიამეტრი 1.3 მ-ზე	Do 1სმ-დან-4სმ-მდე ცალი	Do 4.1სმ-დან-8სმ-მდე ცალი	H სიმაღლე მ	მდგომარეობა	შენიშვნა
1	ჭადარი (Platanus)	83.4	63.7			17	ჯანსაღი	
2	ტყემალი (Prúnus cerasiféra)	14.3	5.4			4.5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
3	თუთა ჩვეულებრივი (Morus)			4		3.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ჯგუფში 4 ერთეული
4	მინდვრის თელა (Ulrnus minor)	19.1	11.1			5.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
5	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	28.7	14.3			7	ჯანსაღი	
6	მინდვრის თელა (Ulrnus minor)	14.6	5.4			4.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
7	მინდვრის თელა (Ulrnus minor)	20.7	9.6			4.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
8	მინდვრის თელა (Ulrnus minor)	11.5	4.8			2.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
9	მინდვრის თელა (Ulrnus minor)	26.1	12.7			4	ჯანსაღი	
10	მინდვრის თელა (Ulrnus minor)	8.6	4.8			2.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
11	იფანი	6.4	4.8			3	ჯანსაღი	შესაძლებელია

დავით კობახიძე ი/ნ 01023000633, საქართველო, თბილისი, 0178 , ი. სიხარულიძის ქ. N 1 , ტელ: (+559) 551 60 62 26
Davit Kobakhidze I/D 01023000633, Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, 0178. Tel: (+559) 551 60 62 26 Email: davitkob@gmail.com

	ჩვეულებრივი (Fraxinus exelsior)							გადარგვა
12	კვიდო (Ligustrum)	11.5	5.4			4	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
13	ცრუ აკაცია (Robinia pseudoacacia)				3	3.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ჯგუფში 3 ერთეული
14	ლენქორანის აკაცია (Albizzia julibrissin)	8.6	4.8			3	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
15	ცრუ აკაცია (Robinia pseudoacacia)				3	3.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ჯგუფში 3 ერთეული
16	ცრუ აკაცია (Robinia pseudoacacia)				3	3.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ჯგუფში 3 ერთეული
17	ცრუ აკაცია (Robinia pseudoacacia)			3		3	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ჯგუფში 3 ერთეული
18	იაპონური სოფორა (Sophora Japonica)				3	3.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ჯგუფში 3 ერთეული
19	თუთა ჩვეულებრივი (Morus)				4	4.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ჯგუფში 4 ერთეული
20	თუთა ჩვეულებრივი (Morus)				4	4.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ჯგუფში 4 ერთეული
21	კავკასიური აკაკი (Celtis caucasica)				9	3	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ჯგუფში 9 ერთეული
22	მინდვრის თელა (Ulrnus minor)	15.9	9.6			4	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
23	იაპონური სოფორა (Sophora Japonica)				4	3	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ჯგუფში 4 ერთეული
24	მინდვრის თელა (Ulrnus minor)				5	4	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ჯგუფში 5 ერთეული
25	კავკასიური აკაკი (Celtis caucasica)			3		3	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ჯგუფში 3

დავით ყობახიძე ი/ნ 01023000633, საქართველო, თბილისი, 0178 , ი. სიხარულიძის ქ, N 1 , ტელ: (+559) 551 60 62 26
Davit Kobakhidze I/D 01023000633, Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, 0178. Tel: (+559) 551 60 62 26 Email: davitkob@gmail.com

								ერთეული
26	ცრუ აკაცია (Robinia pseudoacacia)				3	3.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ჯგუფში 3 ერთეული
27	იაპონური სოფორა (Sophora Japonica)			3		2	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ჯგუფში 3 ერთეული
28	ლეღვი (Ficus carica)	38.2	22.3			5.5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
29	მინდვრის თელა (Ulrnus minor)			3		3	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ჯგუფში 3 ერთეული
30	ცრუ აკაცია (Robinia pseudoacacia)				3	3	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ჯგუფში 3 ერთეული
31	იაპონური სოფორა (Sophora Japonica)			3		3	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ჯგუფში 3 ერთეული
32	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	10.2	6.4			4.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
33	ცრუ აკაცია (Robinia pseudoacacia)	12.7	8.6			5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
34	ცრუ აკაცია (Robinia pseudoacacia)	15.9	7.0			5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
35	მინდვრის თელა (Ulrnus minor)				4	3.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ჯგუფში 4 ერთეული
36	ხემყრალი (Ailanthus altissima)	20.7	15.9			7	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
37	თუთა ჩვეულებრივი (Morus)	79.6	11.1			6	ხმობადი	იხ.ლაბორატორიული დასკვნა
38	ხემყრალი (Ailanthus altissima)	20.7	11.8			6	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
39	ტყემალი (Prúnus cerasiféra)	12.7	4.8			4	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
40	მინდვრის თელა				3	4.5	ჯანსაღი	შესაძლებელია

დავით კობახიძე ი/მ 01023000633, საქართველო, თბილისი, 0178 , ი. სიხარულიძის ქ, N 1 , ტელ: (+559) 551 60 62 26
Davit Kobakhidze I/D 01023000633, Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, 0178. Tel: (+559) 551 60 62 26 Email: davitkob@gmail.com

	(Ulrnus minor)							გადარგვა, ჯგუფში 3 ერთეული
41	მინდვრის თელა (Ulrnus minor)				4	4	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ჯგუფში 4 ერთეული
42	ლეღვი (Ficus carica)	54.1	27.1			5.5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
43	მინდვრის თელა (Ulrnus minor)				4	3.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ჯგუფში 4 ერთეული
44	მინდვრის თელა (Ulrnus minor)				3	3.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ჯგუფში 3 ერთეული
45	კაკლის ხე (Juglans regia)	30.3	15.9			5.5	ჯანსაღი	ორკაპი
46	მინდვრის თელა (Ulrnus minor)	21.7	18.8			4.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
47	ალვის ხე (Populus italica)	70.1	63.7			12	ზეხმელი	
48	მინდვრის თელა (Ulrnus minor)	23.9	17.5			6	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, მრავალღეროიანი
49	მინდვრის თელა (Ulrnus minor)	13.4	8.6			6	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ორკაპი
50	მინდვრის თელა (Ulrnus minor)	12.7	9.6			5.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
51	მინდვრის თელა (Ulrnus minor)	25.2	15.9			6.5	ჯანსაღი	ორკაპი
52	ალვის ხე (Populus italica)	79.6	63.7			15	ხმობადი	იხ.ლაბორატორიული დასკვნა

ტერიტორიაზე განთავსებული 52 ნომერი ხე–მცენარის ნუსხა სახეობების მიხედვით

ჯგუფებად მდგომი ხე-მცენარე 22 ნომერი, მათ შორის

მაღალი ღირებულების ფოთლოვანი ხე - კავკასიური აკაკი;

დაბალი ღირებულების ფოთლოვანი ხე - თუთა ჩვეულებრივი, მინდვრის თელა, ცრუ აკაცია, იაპონური სოფორა;

კერძოდ:

N 3 ჯგუფში 4 ერთეული **თუთა ჩვეულებრივი (Morus);**

N 13 ჯგუფში 3 ერთეული **ცრუ აკაცია (Robinia pseudoacacia);**

დავით კობახიძე ი/ნ 01023000633, საქართველო, თბილისი, 0178 , ი. სიხარულიძის ქ, N 1 , ტელ: (+559) 551 60 62 26
Davit Kobakhidze I/D 01023000633, Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, 0178. Tel: (+559) 551 60 62 26 Email: davitkob@gmail.com

N 15 ჯგუფში 3 ერთეული **ცრუ აკაცია (Robinia pseudoacacia);**
N 16 ჯგუფში 3 ერთეული **ცრუ აკაცია (Robinia pseudoacacia);**
N 17 ჯგუფში 3 ერთეული **ცრუ აკაცია (Robinia pseudoacacia);**
N 18 ჯგუფში 3 ერთეული **იაპონური სოფორა (Sophora Japonica);**
N 19 ჯგუფში 4 ერთეული **თუთა ჩვეულებრივი (Morus);**
N 20 ჯგუფში 4 ერთეული **თუთა ჩვეულებრივი (Morus);**
N 21 ჯგუფში 9 ერთეული **კავკასიური აკაკი (Celtis caucasica);**
N 23 ჯგუფში 4 ერთეული **იაპონური სოფორა (Sophora Japonica);**
N 24 ჯგუფში 5 ერთეული **მინდვრის თელა (Ulrnus minor);**
N 25 ჯგუფში 3 ერთეული **კავკასიური აკაკი (Celtis caucasica);**
N 26 ჯგუფში 3 ერთეული **ცრუ აკაცია (Robinia pseudoacacia);**
N 27 ჯგუფში 3 ერთეული **იაპონური სოფორა (Sophora Japonica);**
N 29 ჯგუფში 3 ერთეული **მინდვრის თელა (Ulrnus minor);**
N 30 ჯგუფში 3 ერთეული **ცრუ აკაცია (Robinia pseudoacacia);**
N 31 ჯგუფში 3 ერთეული **იაპონური სოფორა (Sophora Japonica);**
N 35 ჯგუფში 4 ერთეული **მინდვრის თელა (Ulrnus minor);**
N 40 ჯგუფში 3 ერთეული **მინდვრის თელა (Ulrnus minor);**
N 41 ჯგუფში 4 ერთეული **მინდვრის თელა (Ulrnus minor);**
N 43 ჯგუფში 4 ერთეული **მინდვრის თელა (Ulrnus minor);**
N 44 ჯგუფში 3 ერთეული **მინდვრის თელა (Ulrnus minor).**

ერთეულად მდგომი მცენარეებია 30 ძირი, მათ შორის ხე 29 ძირი და ბუჩქი 1 ძირი, კერძოდ:

1. *საქართველოს წითელ წუსხაში შეტანილი სახეობათა ჯგუფის ხე-მცენარე* 1 ძირი:
   - 1 ძირი (N 45) კაკლის ხე - Juglans regia.

2. *დაბალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვან სახეობათა ხე-მცენარე* 22 ძირი:
   - 2 ძირი (N 47, N 52) ალვის ხე - Populus italica;
   - 1 ძირი (N 37) თუთა ჩვეულებრივი - Morus;
   - 1 ძირი (N 11) იფანი ჩვეულებრივი - Fraxinus exelsior;
   - 2 ძირი (N 5, N 32) კანადური ვერხვი - Populus deltoides;
   - 1 ძირი (N 14) ლენქორანის აკაცია - Albizzia julibrissin;
   - 12 ძირი (N 4, N 6, N 7, N 8, N 9, N 10, N 22, N 46, N 48, N 49, N 50, N 51) მინდვრის თელა - Ulrnus minor;
   - 2 ძირი (N 33, N 34) ცრუ აკაცია - Robinia pseudoacacia;

დავით ბობახიძე ი/ნ 01023000633, საქართველო, თბილისი, 0178 , ი. სიხარულიძის ქ. N 1 , ტელ: (+559) 551 60 62 26
Davit Kobakhidze I/D 01023000633, Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, 0178. Tel: (+559) 551 60 62 26 Email: davitkob@gmail.com

- 1 ძირი (N 1) ჭადარი - Platanus.

3. ბუჩქოვანი და ხვიარა სახეობათა ჯგუფის ხე–მცენარე 1 ძირი:

- 1 ძირი (N 12) კვიდო - Ligustrum.

4. ხილ-კენკროვანი სახეობათა ჯგუფის ხე-მცენარე 4 ძირი:
12სმ-ზე მეტი დიამეტრისაა 4 ძირი:

- 2 ძირი (N 2, N 39) ტყემალი - Prúnus cerasiféra;
- 2 ძირი (N 28, N 42) ლეღვი - Ficus carica.

5. ინოვაზიური სახეობათა ჯგუფის ხე-მცენარე 2 ძირი:

- 2 ძირი (N 36, N 38) ხემყრალი - Ailanthus altissima.

იხ. ცხრილი N 1.

აღრიცხული 52 ნომერი ხე–მცენარიდან:

1. ხმობადია 2 ძირი ხე–მცენარე, კერძოდ:

- 1 ძირი (N 52) ალვის ხე - Populus italica;
- 1 ძირი (N 37) თუთა ჩვეულებრივი - Morus.

იხ. ლაბორატორიული დასკვნა. (დანართი N 1)

2. ზეხმელია 1 ძირი ხე-მცენარე, კერძოდ:

- 1 ძირი (N 47) ალვის ხე - Populus italica;

3. ჯანსაღია 49 ნომერი ხე–მცენარე, მათ შორის
ჯგუფებად მდგომი ხე-მცენარე 22 ნომერი:

- 3 ნომერი (N 3, N 19, N 20) თუთა ჩვეულებრივი - Morus;
- 4 ნომერი (N 18, N 23, N 27, N 31) იაპონური სოფორა - Sophora Japonica;
- 2 ნომერი (N 21, N 25) კავკასიური აკაკი - Celtis caucasica;
- 7 ნომერი (N 24, N 29, N 35, N 40, N 41, N 43, N 44) მინდვრის თელა - Ulrnus minor;
- 6 ნომერი (N 13, N 15, N 16, N 17, N 26, N 30) ცრუ აკაცია - Robinia pseudoacacia;

ერთეულად მდგომი ხე-მცენარე 27 ძირი:

- 1 ძირი (N 11) იფანი ჩვეულებრივი - Fraxinus exelsior;
- 1 ძირი (N 45) კაკლის ხე - Juglans regia;
- 2 ძირი (N 5, N 32) კანადური ვერხვი - Populus deltoides;
- 1 ძირი (N 12) კვიდო - Ligustrum;

დავით ბობახიძე ი/ნ 01023000633, საქართველო, თბილისი, 0178 , ი. სიხარულიძის ქ, N 1 , ტელ: (+559) 551 60 62 26
Davit Kobakhidze I/D 01023000633, Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, 0178. Tel: (+559) 551 60 62 26 Email: davitkob@gmail.com

- 1 ძირი (N 14) ლენქორანის აკაცია - Albizzia julibrissin;
- 2 ძირი (N 2, N 39) ტყემალი - Prúnus cerasiféra;
- 2 ძირი (N 28, N 42) ლეღვი - Ficus carica;
- 12 ძირი (N 4, N 6, N 7, N 8, N 9, N 10, N 22, N 46, N 48, N 49, N 50, N 51) მინდვრის თელა - Ulrnus minor;
- 2 ძირი (N 33, N 34) ცრუ აკაცია - Robinia pseudoacacia;
- 1 ძირი (N 1) ჭადარი - Platanus;
- 2 ძირი (N 36, N 38) ხემყრალი - Ailanthus altissima.

ერთეულად მდგომი ჯანსაღი 27 ძირი ხე–მცენარიდან 4 ძირი ხილ-კენკროვანი სახეობისაა, ხოლო 23 ძირი ხე-მცენარიდან 25 სმ–ზე ნაკლები დიამეტრისაა 18 ძირი:

- 1 ძირი (N 11) იფანი ჩვეულებრივი - Fraxinus exelsior;
- 1 ძირი (N 32) კანადური ვერხვი - Populus deltoides;
- 1 ძირი (N 12) კვიდო - Ligustrum;
- 1 ძირი (N 14) ლენქორანის აკაცია - Albizzia julibrissin;
- 10 ძირი (N 4, N 6, N 7, N 8, N 10, N 22, N 46, N 48, N 49, N 50) მინდვრის თელა - Ulrnus minor;
- 2 ძირი (N 33, N 34) ცრუ აკაცია - Robinia pseudoacacia;
- 2 ძირი (N 36, N 38) ხემყრალი - Ailanthus altissima.

მათი გადარგვა შესაძლებელია და რეკომენდირებულია იხელმძღვანელოთ თანდართული გადარგვის მეთოდოლოგიით.

25 სმ–ზე მეტი დიამეტრისაა 5 ძირი:

- 1 ძირი (N 45) კაკლის ხე - Juglans regia;
- 1 ძირი (N 5) კანადური ვერხვი - Populus deltoides;
- 2 ძირი (N 9, N 51) მინდვრის თელა - Ulrnus minor;
- 1 ძირი (N 1) ჭადარი - Platanus;

25 სმ–ზე დიდი დიამეტრის ხე–მცენარეები ითვლებიან დიდტანოვან ეგზემპლარებად და მათ გადარგვას სჭირდება სპეციალური ტექნიკით გადატანა ან შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავება.

პატარა ზომის ხეების გადარგვის მეთოდოლოგია

დიამეტრით 25 სმ-მდე

ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას, ტერიტორიაზე გავრცელებული სარეველა მცენარეებისგან, ქვებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და სხვ ფართობის განთავისუფლებას. ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული

დავით კობახიძე ი/მ 01023000633, საქართველო, თბილისი, 0178 , ი. სიხარულიძის ქ. N 1 , ტელ: (+559) 551 60 62 26
Davit Kobakhidze I/D 01023000633, Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, 0178. Tel: (+559) 551 60 62 26 Email: davitkob@gmail.com

წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ მოხდეს ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით ნიადაგის ნაყოფიერების განხორციელება, დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა - განვითარების უზრუნველსაყოფად.

ხე–მცენარის ამოღება და დარგვა

1. გადარგვა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ხელით, ასევე მექანიზებული წესით - სპეციალური სარგავი მანქანით. ხელით დარგვა შესაძლებელია განხორციელდეს ორის მეთოდით: ნიადაგის გუნდით (კომით) და შიშველფესვიანი ნერგებით.
2. ხის გადარგვას მიწის კომით გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები, რაც უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს მიწის გუნდაში მოთავსებულ ფესვთა სისტემის დაცვაში, რომელიც არ ზიანდება და რჩება თითქმის ხელშეუხებელ მდგომარეობაში. თუმცა ყველაფერი ეს იმ შემთხვევაშია გარანტირებული თუ გადარგვის პროცესში მიწის გუნდაში არ შეიქმნება არასასურველი რყევები, რაც გამოიწვევს ფესვების დაგლეჯვას, მათგან ნიადაგის მოშორებას.
3. ხის ამოღება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით, ფესვთა სისტემის დაზიანების გარეშე; მცენარეების ნერგებს უნდა ქონდეთ „მიწის გუნდა“, მიწის დიამეტრით არა ნაკლებ ხის სიმაღლის 1/5-სა , სიღრმით - არა ნაკლებ 1/6-ისა.
4. გადასარგავ ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებული უნდა იქნას ორმო; სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 – 0,9 მ. – ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2–0,25 მ.–ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;
5. სასურველია ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით. რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან:
6. იმ შემთხვევაში თუ მოხდა ხე–მცენარის კომის გარეშე გადარგვა ორმოს ადგილზე ამოიღებული ორმოს სიღრმე და დიამეტრი უნდა იქნას ამოღებული ნერგის ფესვების სიგრძისა და გარშემოწერილობის პარამეტრების შესაბამისად. ნერგების ორმოში დარგვის წინ უნდა შეიკვეცოს ფესვები, სასურველია ამოივლოს წუნწუხში და ჩაირგოს ორმოში ისე, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით დარჩეს.
7. ორმოში სასურველია წინასწარ იქნეს შეტანილი 15-20 კგ. ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელიანი, ტორფდოლომიტიანი და სხვა).
8. კომით გადარგვის შემთხვევაში და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით; უკომოდ გადარგვის შემთხვევაში ორმოში ჩარგული ნერგის ფესვები უნდა გასწორდეს და მიეყაროს პირველი ბარის პირით ამოღებული მიწა. ფესვებზე მიყრილი მიწა თანდათანობით უნდა მიეტკეპნოს, შემდეგ ორმო უნდა ამოივსოს მეორე ბარის პირით ამოღებული მიწით;
9. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
10. სასურველია ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
11. ხის დარგვის შემდგომ აუცილებელია ხის ღერის ფიქსირება არანაკლებ 3 მხრიდან; მცირე ზომის ნერგი შეიძლება აიკრას საყრდენზე (ჭიგო, სარი, ხარდანი)..
12. ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე;

დავით ბობახიძე ი/მ 01023000633, საქართველო, თბილისი, 0178 , ი. სიხარულიძის ქ, N 1 , ტელ: (+559) 551 60 62 26
Davit Kobakhidze I/D 01023000633, Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, 0178. Tel: (+559) 551 60 62 26 Email: davitkob@gmail.com

ხე–მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა–პატრონობა:

1. მოვლის ღონისძიებები დარგვიდან პირველი 3 წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს. პირველ წელს სისტემატიურად უნდა ხდებოდეს ხეების ირგვლივ ჯამების გამარგვლა - გაფხვიერება და მორწყვა. ერთ მორწყვაზე, თითოეული ხისათვის იხარჯება 10 სათლი (ვედრო) წყალი. მშრალ ამინდში ირწყვება, დეკადის განმავლობაში ერთჯერადად. ყოველდღიურად, დაწვიმებით ირწყვება ხის/ბუჩქების ვარჯი (დილით ან საღამოთი).
2. მოვლის ღონისძიებაა მავნებლების-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა. ხეების მოვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს ხის ვარჯის ფორმირება. ხის დეკორატიულობა დამოკიდებულია არა მარტო ყვავილისა და ფოთლების სილამაზეზე, არამედ საღ და კარგად ფორმირებულ ვარჯზე.
3. ხის ფორმირება ახალგაზრდობისას საჭიროა ინტესიურად, სიბერეში კი - ხეს აჭრიან ხმელ ტოტებს ან აახაგაზრდავებენ მთელ ვარჯს. ფაქტიურად, გამწვანებაში, ნარგავების მოვლა მიმდინარეობს სიცოცხლის მანძილზე.
4. წიწვოვანი ხეების ვარჯის ფორმირებას არ აწარმოებენ საერთოდ. ხის და ბუჩქების მოვლა გამოიხატება: ხეების გაახალგაზრდავებაში, ფოთოლმცვენი ბუჩქების გაახალგაზრდავებაში, მარადმწვანე და ფოთლოვანი ბუჩქების ფორმირებაში, ბორდიურების კრეჭაში, ღეროებისა და ქერქების მოვლაში და ა.შ.
5. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე სასურველია განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა.

შენიშვნა: ზემოთ მოცემული მეთოდოლოგია შემუშავებულია პატარა ზომის 25 სმ–ზე ნაკლები დიამეტრის ხე–მცენარეებზე, ხოლო 25 სმ–ზე მეტი დიამეტრის ხე–მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგია უნდა შემუშავდეს ინდივიდუალურად. (დიამეტრი იზომება ფესვის ყელიდან 10 სმ–ზე)

შემსრულებელი: *დავით კობახიძე*
ექსპერტი

დავით კობახიძე ი/ნ 01023000633, საქართველო, თბილისი, 0178 , ი. სიხარულიძის ქ. N 1 , ტელ: (+559) 551 60 62 26
Davit Kobakhidze I/D 01023000633, Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, 0178. Tel: (+559) 551 60 62 26 Email: davitkob@gmail.com

კვ კოეფიციენტის ფართობი – 678.7 კვ.მ – 0.3
მიწის ნაკვეთის ფართობი – 2581 კვ.მ



ობიექტის მისამართი

ქ. ობილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი № 57

ს.კ. 01.17.14.001.408

ფუნქციური დანიშნულება

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ორგანიზაცია

შპს ლადიძე კლაზა

ს.კ. 211377767

დირექტორი

ი. ოქროპირიძე

პრ. ავტორი

მ. პაპუკაშვილი

კვ კოეფიციენტის განშლა

A - 3	
მასშტაბი	1 : 200
თარიღი	15/09/2019
ფურც.	



გადასარბავი ხე ნარგავები :
3 თუთა ჩვეულებრივი
4 მინდვრის თელა
5 კანადური ვერხვი
6 მინდვრის თელა
7 მინდვრის თელა
8 მინდვრის თელა
9 მინდვრის თელა
10 მინდვრის თელა
11 ოშანი ჩვეულებრივი
12 კვიდო
13 ცრუ აკაცია
14 ლენქორანის აკაცია
15 ცრუ აკაცია
16 ცრუ აკაცია
17 ცრუ აკაცია
18 იაპონური სოფორა
19 თუთა ჩვეულებრივი
20 თუთა ჩვეულებრივი
21 კავკასიური აკაკი
22 მინდვრის თელა
23 იაპონური სოფორა
24 მინდვრის თელა
25 კავკასიური აკაკი
26 ცრუ აკაცია
27 იაპონური სოფორა
29 მინდვის თელა
30 ცრუ აკაცია
31 იაპონური სოფორა
32 კანადური ვერხვი
34 ცრუ აკაცია
38 ხემძრალი
40 მინდვრის თელა
41 მინდვრის თელა
43 მინდვრის თელა
44 მინდვრის თელა
45 კაკლის ხე
46 მინდვრის თელა
48 მინდვრის თელა
49 მინდვრის თელა
50 მინდვრის თელა
51 მინდვრის თელა

მოსაჭრელი ხე-ნარგავები :
2 ტყემალი (არ საჭიროებს ნებართვას)
28 ლეღვი (არ საჭიროებს ნებართვას)
37 თუთა ჩვეულებრივი (ხმოვადი)
39 ტყემალი (არ საჭიროებს ნებართვას)
42 ლეღვი (არ საჭიროებს ნებართვას)
47 ალვის ხე (ზეხმელი)

ობიექტის მისამართი
ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი № 57
ს.კ. 01.17.14.001.408

შენიშვნა
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ორგანიზაცია
შპს ლადიძე კლაზა
ს.კ. 211377767

დირექტორი
ი. ოქროპირიძე
პრ. ავტორი
მ. პაპუკაშვილი

გადასარბავი და მოსაჭრელი ხე-ნარგავების სქემა

გადასარბავი ხე-ნარგავები
მოსაჭრელი ხე-ნარგავები



A - 3

მასშტაბი	1 : 250
თარიღი	15/09/2019
შურც.	


№ 1 ვაზონი
ასფალტის ბეტონის საფარი
№ 45 აპარტამენტის ბინა
№ 46 მოწყობის ტერიტორია
№ 52 კერძო ბინა
№ 30 ცენტრალური ქუჩა
№ 27 ოჯახური სახლის მეპატრონე
№ 6 მოწყობის ტერიტორია
№ 7 მოწყობის ტერიტორია
№ 14 ელექტრომანქანის სადგური
№ 15 ცენტრალური ქუჩა
№ 16 ცენტრალური ქუჩა
№ 17 ცენტრალური ქუჩა
№ 18 ოჯახური სახლის სავაჭრო
№ 19 მეორე ნაგებობის ტერიტორია
№ 20 მეორე ნაგებობის ტერიტორია
№ 21 ავტომობილის პარკინგი
№ 24 მოწყობის ტერიტორია
№ 25 ავტომობილის პარკინგი
№ 26 ცენტრალური ქუჩა
№ 31 ოჯახური სახლის სავაჭრო
№ 40 მოწყობის ტერიტორია
№ 41 მოწყობის ტერიტორია
№ 43 მოწყობის ტერიტორია
№ 44 მოწყობის ტერიტორია
№ 48 მოწყობის ტერიტორია
№ 49 მოწყობის ტერიტორია
№ 50 მოწყობის ტერიტორია
№ 51 მოწყობის ტერიტორია
№ 38 ხანძარსაწინააღმდეგო
№ 34 ცენტრალური ქუჩა
№ 32 ავტოფარეხის შენობა
№ 5 ავტოფარეხის შენობა
№ 3 მეორე ნაგებობის ტერიტორია
№ 4 მოწყობის ტერიტორია
№ 8 მოწყობის ტერიტორია
№ 9 მოწყობის ტერიტორია
№ 10 მოწყობის ტერიტორია
№ 11 მეორე ნაგებობის ტერიტორია
№ 12 კიოსკი
№ 13 ცენტრალური ქუჩა
№ 22 მოწყობის ტერიტორია
№ 23 ოჯახური სახლის ტერიტორია
№ 29 მოწყობის ტერიტორია
№ 30 ცენტრალური ქუჩა
6.8 m²
37.0 m²
125.2 m²
69.7 m²
228.9 m²
179.7 m²
17.5 m²
1,800
585
995
450
210
765
555
1,760
160
120
600
480
300
320
481
1,058
1,289
1,200
1,500
1,000
1,400
1,600
1,800
1,760
1,200
1,400
1,600
1,800
1,760
1,200
1,400
1,600
1,800
1,760
1,200

შენიშვნა : საპროექტო ხე-ნარგავების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული რეკომენდირებული და პრიორიტეტული მცენარეების ნუსხიდან.

გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი - მიმდინარეობს შეთანხმება

მიწის ნაკვეთის ფართობი - 2581 კვ.მ

კ-3 კოეფიციენტის ფართობი - 678.7 კვ.მ - 0.3

გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი : 10.10.2020

გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია : შპს ლაღიძე პლაზა (211377767)

გაშენებული მწვანე ნარავების მოვლის ხანგრძლივობა : 3 წელი

გასაშენებელი ნარგავების სახეობა :

გასაშენებელი ხე-ნარგავი - კავკასიური აკაკი.
ხნოვნება 10 წ.
სიმაღლე 3 - 3.5 მ.
რაოდენობა 2.
ღეროს დიამეტრი 14-16 სმ.
დახასიათება - ფოთლოვანი, ფოთოლმცვენი, გვალვაგამძლე.

გადასარგავი ხე ნარგავები :
№ 3 თუთა ჩვეულებრივი. № 4 მინდვრის თელა. № 5 კანადური ვერხვი. № 6 მინდვრის თელა. № 7 მინდვრის თელა. № 8 მინდვრის თელა. № 9 მინდვრის თელა. № 10 მინდვრის თელა. № 11 იფანი ჩვეულებრივი. № 12 კვიდო. № 13 ცრუ აკაცია. № 14 ლენქორანის აკაცია. № 15 ცრუ აკაცია. № 16 ცრუ აკაცია. № 17 ცრუ აკაცია. № 18 იაპონური სოფორა. № 19 თუთა ჩვეულებრივი. № 20 თუთა ჩვეულებრივი. № 21 კავკასიური აკაკი. № 22 მინდვრის თელა. № 23 იაპონური სოფორა. № 24 მინდვრის თელა. № 25 კავკასიური აკაკი. № 26 ცრუ აკაცია. № 27 იაპონური სოფორა. № 29 მინდვის თელა. № 30 ცრუ აკაცია. № 31 იაპონური სოფორა. № 32 კანადური ვერხვი. № 34 ცრუ აკაცია. № 38 ხემძრალი. № 40 მინდვრის თელა. № 41 მინდვრის თელა. № 43 მინდვრის თელა. № 44 მინდვრის თელა. № 45 კაკლის ხე. № 46 მინდვრის თელა. № 48 მინდვრის თელა. № 49 მინდვრის თელა. № 50 მინდვრის თელა. № 51 მინდვრის თელა

გადასარგავ მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია : შპს ლაღიძე პლაზა (211377767) მოვლის ხანგრძლივობა 3 წელი



